პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 146 (3630) 27 ივლისი, შაბათი 1968 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.




# 110

მეხიკო, 24 ივლისი. XIX ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის სურვილი უკვე 110 ქვეყანამ გამოთქვა. დღეს ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტში განაცხადები გამოგზავნა კიდევ ოთხმა ქვეყანამ: კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, სიერა-ლეონემ, მაროკომ და კონგომ (ბრაზავილმა). გავიხსენოთ, რომ „მონაწილეთა წარმომადგენლობის" რეკორდი ჯერჯერობით ტოკიოს ოლიმპიადას ეკუთვნის — 94 ქვეყანა.

კვირას, 28 ივლისს, მეხიკოს ოლიმპიურ სტადიონზე მოეწყობა თამაშების გახსნის ცერემონიალის რეპეტიცია, რომელშიც 8000 კაცი მიიღებს მონაწილეობას. ამ რეპეტიციის მიხედვით დააზუსტებენ, რა დრო დასჭირდებათ ოლიმპიელებს სტადიონზე მოწყობისა და საზეიმო მარშისთვის.



# ლიზელი კმაყოფილია

### ბადრო — 62,54 მეტრზე

დასავლეთგერმანელი მძლეოსანი ლიზელ ვესტერმანი მსოფლიოში პირველი ქალი იყო, რომელმაც ბადროს ტყორცნაში 60-მეტრიან ზღვარს გადააბიჯა და მსოფლიო რეკორდი (61,26) დაამყარა. ეს იყო შარშან, 5 ნოემბერს, სან-პაულუში.

მალე მას საშიში მეტოქე გამოუჩნდა კრისტინა შპილბერგის (გდრ) სახით, რომელმაც წლეულს, 26 მაისს, ვესტერმანის რეკორდს 38 სმ მიუმატა. მაგრამ დიდი დღე თურმე არც მის მიღწევას ეწერა: დასავლეთ გერმანიის პატარა ქალაქ ფერდოლში გამართულ შეჯიბრებაში ვესტერმანმა ბადრო 62,54 მეტრზე ტყორცნა და რეკორდი დაიბრუნა.

რა თქმა უნდა, ლიზელი კმაყოფილია.

დიუსელდორფის ახლოს მდებარე ამ ქალაქში ევროპის ახალი რეკორდი 4×200 მეტრზე ესტაფეტაში დაამყარა გფრ-ის ქალთა გუნდმა — 1.23,6.

ამერიკელმა რ. სმითმა 100 მ 10,2 წამში გაირბინა.

• • •

სურათზე: ლ. ვესტერმანი.

# მეტრეველი, შესტერნიოვი და იაშინი...

ციურიხი, 25 ივლისი. (საკდესი). სლავა მეტრეველი, ალბერტ შესტერნიოვი და ლევ იაშინი ფიფა-მ ევროპისა და სამხრეთ ამერიკის იმ 60 უძლიერესი ფეხბურთელის რიცხვში დაასახელა, რომლებიც ბრაზილიის ეროვნულ გუნდთან შეხვედრის კანდიდატები არიან.

ეს მატჩი (ბრაზილია — ფიფა-ს ნაკრები), როგორც ცნობილია, ბრაზილიის სპორტის ფედერაციის 50 წლისთავს ეძღვნება და რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანას" სტადიონზე 6 ნოემბრისთვისაა დანიშნული.

# ოლიმპიური საათი...

◆ მოსკოვი, 26 ივლისი. 16 ოქტომბერს ლუგანოში (შვეიცარია) გაიხსნება მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა. აქ სათამაშოდ სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ქვეყნის ნაკრები გუნდი: ტ. პეტროსიანი, ბ. სპასკი, ვ. კორჩნოი, მ. ტალი, ლ. პოლუგაევსკი და ე. გელერი. დებრეცენის (უნგრეთი) საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მიხედვით, რომელიც 8 აგვისტოს იწყება, ფედერაციამ გადაწყვიტა გაგზავნოს დიდოსტატი ვ. ლიბერზონი და მოსკოვის ექს-ჩემპიონი, ოსტატი ა. ვოლოვიჩი.

◆ ოხრიდი, 26 ივლისი. იუგოსლავიის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის ლიდერი გახდა ლ. პორტიში (უნგრეთი), რომელმაც 12 ტურის შემდეგ 9,5 ქულა დააგროვა. II ადგილზეა ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — 9. საბჭოთა დიდოსტატს ლ. პოლუგაევსკის 8 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.



# საქართველოს ნაკრები — V ადგილზე

კიევი, 25 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სიჭაბუკის I საკავშირო თამაშების საბოლოო შედეგები ასეთია:

1. რსფსრ — 185 ქულა
2. უკრაინა — 180
3. მოსკოვი — 166
4. ბელორუსია — 160
5. საქართველო — 147
6. ლენინგრადი — 143
7. ლიტვა — 127
8. აზერბაიჯანი — 125
9. ლატვია — 118
10. სომხეთი — 107,5
11. ყაზახეთი — 107
12. ესტონეთი — 106
13. უზბეკეთი — 99,5
14. მოლდავეთი — 95,5
15. ყირგიზეთი — 56
16. ტაჯიკეთი — 52
17. თურქმენეთი — 42,5.

• • •

როგორც ვიუწყებოდით, სამბისტთა ასპარეზობაში საქართველოს ორმა წარმომადგენელმა მოიპოვა პირველობა. ესენი არიან შ. შაქარაშვილი და ლ. მალლაფერიძე (და არა ლ. მალალთაძე).

# რკინიგზელი მეხანძრეები

გორკში გაიმართა „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატი სახანძრო-გამოყენებით სპორტში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 16 გუნდი. საერთო ჩათვლაში ყველას აჯობა ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო საბჭოს ნაკრებმა, რომელმაც I ადგილი და გარდამავალი თასი დაისაკუთრა. II ადგილზე გავიდნენ მასპინძლები, III — ოდესა — კიშინიოვის გზის კოლექტივი.

პირად ტურნირში 100 მეტრზე დაბრკოლებათა ზოლის გადალახვა მოიგო ბელორუსიელმა ნ. კოზელმა — 20,0, მეორე იყო ნ. სალხანაძე — 21,0. ქართველმა სპორტსმენმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმა. სალხანაძის თანაგუნდელი დ. ბოჭორიშვილი III ადგილზე გავიდა — 21,3. ამ სახეობის გუნდურ ჩათვლაში ყველას თბილისელებმა აჯობეს.

ამიერკავკასიის „ლოკომოტივის" კოლექტივმა II საპრიზო ადგილი დაიკავა საიერიშო კიბით IV სართულზე ასვლაში. გუნდის წევრმა ლ. გვანცელაძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა. გამარჯვებულს — კიშინიოველ ა. ბელინსკის (18,9) იგი 0,6 წამით ჩამორჩა.

ესტაფეტა 4×100 მეტრზე მოსკოვის გუნდმა მოიგო. თბილისელები III ადგილზე გავიდნენ.

| |
|---|
| ოლიმპიადა |
| მძლეოსნობა |
| ფეხბურთი |
| ჭადრაკი |
| ჩოგბურთი |

# ვალამდე...

ჰამბურგი, 26 ივლისი. საბჭოთა ჩოგბურთელებმა ვადამდე გაინაღდეს ჰალეას თასის — ევროპის ახალგაზრდული გუნდების ფაქტიური პირველობის ზონალური შეჯიბრებების ფინალში მონაწილეობის უფლება: შვეციის ნაკრებთან მატჩის პირველი დღის შემდეგ ანგარიშია 3:0. დანარჩენი შეხვედრების შედეგების მიუხედავად, საბჭოთა სპორტსმენები ზონის ფინალში ეთამაშებიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლებს, რომლებმაც ასეთივე ანგარიშს მიაღწიეს ბულგარელებთან ასპარეზობაში. საბჭოთა გუნდს გამარჯვება მოუტანეს ვ. კოროტკოვმა და ა. ვოლკოვმა: პირველმა დაამარცხა იემსბიუ (6:1, 6:4), მეორემ — ზახრა (6:4, 6:4). კოროტკოვისა და ვოლკოვის წყვილმა ფარ-ხმალი დააყრევინა შვედების დუეტს (იემსბიუ—ზახრა) — 4:6, 6:4, 6:4.

# ჭაშენ...

### სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

თბილისის „დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ როსტოვის არმიელთა გუნდისა და თბილისის „დინამოს" დუბლიორი ფეხბურთელები.

თამაში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 2:1.

სამხტომში სსრ კავშირის ახალ რეკორდს წლეულს ყველაზე მეტად სოხუმელი ვ. სანეევისგან ელიან — თანაგუნდელებიდან იგი ახლა ყველაზე უკეთაა მომზადებული. ეს ლენინგრადის ამასწინანდელმა სტარტებმაც დაადასტურა: სსრ კავშირის, გდრ-ისა და პოლონეთის გუნდების მატჩში იგი უამინდობის მიუხედავად 16,87 მეტრზე გადახტა და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა, ზნამენსკების მემორიალში კი ამ შედეგამდე მხოლოდ 3 სანტიმეტრი დააკლდა და მაინც გაიმარჯვა.

— მეხიკომდე საკმარისი დროა. მანამდე კიდევ მომიწევს ასპარეზობა და ვეცდები მოვხსნა ზოლოტარიოვის საკავშირო რეკორდი (16,92). თუმცა მწვრთნელები ბევრის უფლებას როდი მაძლევენ, მაიძულებენ ძალა ოლიმპიადისთვის შემოვინახო, — უთხრა ვიქტორმა კორესპონდენტებს.

სანეევის გარდა მემორიალში საქართველოს კიდევ რამდენიმე სპორტსმენი გამოდიოდა. ლ. იევლევამ 80 მეტრზე თარჯრბენში V ადგილი დაიკავა (10,8), ვ. ქუთათელაძე კი 200 მეტრზე რბენაში VI ადგილზე გავიდა (24,5). 100 მეტრზე ასპარეზობისას ქუთათელაძემ ორჯერ აჩვენა 11,7 და ამ დისტანციაზეც შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

სურათზე: ვ. სანეევი შეჯიბრების დროს.

ფოტო ვ. გალაკტიონოვისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთხელ კიდევ პროგნოზების მაცდური გზით

„ლელო" ინტერვიუ

ივლისის პირველ რიცხვებში იუგოსლავიის ქალაქ სკოპლეში ჩატარდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპული ფორუმი. იმ მწვრთნელებს შორის, რომლებიც სსრ კავშირის ნაკრებს ამ ჩემპიონატისთვის ამზადებდნენ, იყო ჩვენი თანამემამულე **ი. ჩხარტიშვილი.** სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მას ინტერვიუ ჩამოართვა „ლელოს" კორესპონდენტმა.

**● მეორე წელია, საბჭოთა მოჭიდავეები აგებენ ევროპის პირველობას. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ხდება ძალთა ძირფესვიანი გადაჯგუფება და ევროპულ სარბიელს ახალი ფავორიტები გაუჩნდნენ?**

— სრულიადაც არა. გადაავლეთ თვალი სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობას და დარწმუნდებით, რომ სკოპლეში უფრო ძლიერი გუნდის გაგზავნაც შეგვეძლო. ჭიდაობის საკავშირო ფედერაცია სწორად მოიქცა, როცა ნაკრებში გზა ახალგაზრდებს გაუხსნა.

**● მაშ, თქვენი აზრით, წარუმატებლობის თავი და ბოლო შემადგენლობის ავკარგიანობაში უნდა ვეძიოთ?**

— მოდით, შევთანხმდეთ ერთში: სიტყვა წარუმატებლობა წლევანდელი ჩემპიონატის შეფასებისას გაზვიადებულია. თუ შარშანდელ III ადგილს წარუმატებლობად მიიჩნევთ, ვფიქრობ, სკოპლეში მოპოვებული II ადგილი უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია. ამას გარდა, და ესაა სწორედ მთავარი, ევროპის ბოლო ჩემპიონატი მსაჯობის მხრივ ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა. დაიჩაგრა ბევრი სრულიად უდანაშაულო სპორტსმენი, მაგრამ მსაჯების ყველაზე სამედისწერო შეცდომა სწორედ ჩვენ დაგვატყდა თავს.

**● თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით გვიამბეთ, რა შეცდომა იყო ეს.**

— ეს მოხდა ქვემსუბუქი წონის ათლეტთა — თედეევისა და ჩეხოსლოვაკიელი ენგემის ორთაბრძოლის დროს. თედეევი 9 ქულით იყო დაწინაურებული და გამარჯვებაც ფაქტიურად განაღდებული ჰქონდა, რადგან ჭიდილის დამთავრებას სულ რაღაც ერთი წუთი აკლდა. და აი, სწორედ ამ დროს საბჭოთა მოჭიდავე დაშავდა. ამგვარ ვითარებაში, საერთაშორისო საჭიდაო კოდექსით, დაზარალებულს გონს მოსასვლელად ეძლევა 5 წუთი. თედეევისთვის ეს „ტაიმ-აუტი" საჭირო იყო იმიტომაც, რომ მას სასწრაფო სამედიცინო დახმარებას უწევდნენ. მაგრამ მსაჯებმა თვითნებურად შეკვეცეს დრო 4 წუთამდე და ჩვენი მოჭიდავე შეჯიბრებიდან გაუფრთხილებლად მოხსნეს.

**● ჰქონდა თუ არა ამ შეცდომას მნიშვნელობა გუნდური ადგილების საბოლოო განაწილებაში?**

— თედეევის ნამდვილი ადგილი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე იყო. ეს უფლება მან ჯერ კიდევ შარშან, მსოფლიო ჩემპიონატში დაიმტკიცა, როცა II ადგილი დაისაკუთრა იაპონელი მ. კანეკოს შემდეგ. სკოპლეში I ადგილისთვის საბჭოთა ათლეტი 6 ქულას მიიღებდა, ჩვენმა გუნდმა ბულგარეთის ნაკრებთან კი მხოლოდ 5 ქულით წააგო. თავად განსაჯეთ, როგორი „სამსახური" გაგვიწიეს მსაჯებმა.

**● ჩვენ, ჭიდაობის ქართველი გულშემატკივრები, სიხარულით შევხვდით ცნობას ზაურ შეყრილაძის ნაკრებში შეყვანის შესახებ. ხომ არ იყო ჩვენი სიხარული საფუძველს მოკლებული?**

— შეყრილაძის შესახებ გაზეთებმა არასწორი ცნობა დაბეჭდეს, თუმცა ამ შეცდომას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია. ასე იყო თუ ისე, ზაური მესამე წრის შემდეგ უკვე აღარ იბრძოდა და ეს წარუმატებლობა გუნდს უსიამოვნო ტვირთად დააწვა. შეყრილაძემ პირველი ბრძოლა იუგოსლაველ დიმოვსკისთან ფრედ დაამთავრა. შემდეგ მან აშკარა უპირატესობით სძლია რუმინელ დუმიტრუს, მაგრამ მესამე წრეში გერმანელ ნეფთან წმინდად დამარცხდა, დაუგროვდა 6,5 საჯარიმო ქულა და ბრძოლას გამოეთიშა. VII ადგილი, რომელიც ევროპის ჩემპიონატში დაიკავა, მისთვის შეუფერებელია და მაინც უნდა ვთქვა: ნეფთან საპასუხისმგებლო ბრძოლაში შეყრილაძეს ნებისყოფამ უმტყუნა.

**● როგორი შთაბეჭდილება დატოვა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა გურამ სალარაძემ?**

— გურამს ჩემპიონობამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯი დააკლდა. ეს ერთი ნაბიჯი იყო გამოცდილ თურქთან იალმაზთან ფრედ დამთავრებული შეხვედრა. თურქი გაურბოდა აქტიურ ჭიდაობას და ორთაბრძოლის ბედიც მისმა პასიურმა ტაქტიკამ გადაწყვიტა. ამ წონაში ყველა ფავორიტს 6 საჯარიმო ქულაზე მეტი დაუგროვდა და ადგილებიც უფინალოდ განაწილდა. ეს, ჩემი აზრით, შესაძლებლობათა ობიექტურ სურათს არ ასახავდა (მაგალითად, ჩემპიონი ქვესაშუალო წონაში — ფრანგი რობენი არ შეხვდა მესამე პრიზიორს სალარაძეს და ა. შ.).

**● ჭიდაობაში ბევრი რამაა დამოკიდებული კენჭისყრაზე, იღბალზე. ფორტუნა ჩვენს ათლეტებს ხშირად ღალატობს. როგორ იყო ამჯერად იგი „განწყობილი" საბჭოთა მოჭიდავეებისადმი?**

—ერთადერთი, ვისზეც შეიძლება ითქვას, კენჭისყრამ გაუმართლაო, - ქვემძიმე წონის ათლეტი გულიუტკინია. მან ერთი შეხვედრა წმინდად მოიგო, 1 — ქულე'ით, ერთიც ფრედ დაამთავრა. მეოთხე წრეში კი, როცა, ფაქტიურად, პირველობის ბედი წყდებოდა, კენჭისყრამ იგი დაასვენა. დანარჩენმა შვიდმა მოჭიდავემ დაძაბული ბრძოლის შემდეგ ტურნირიდან გამოთიშა ერთმანეთი და... გულიუტკინს ჩემპიონობა მიულოცეთ. ასეთი რამ ჭიდაობის ისტორიაში არ მომხდარა, ყოველ შემთხვევაში, ჩემს პრაქტიკაში ეს პირველია.

**● პრესაში საკმაოდ დაწვრილებით დაიწერა ანდრო ცხოვრებოვის წარმატებაზე. საინტერესოა, რას იტყვით თქვენ, მისი მწვრთნელი?**

— ასეთი გამიზნული, თავის სიძლიერეში დარწმუნებული და ლაღად მოჭიდავე ანდრო არასდროს მინახავს. ჩემი აზრით, იგი სავსებით სამართლიანად აღიარეს ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მოჭიდავედ. თავად განსაჯეთ, მთელი ტურნირის მანძილზე ცხოვრებოვმა ერთადერთი საჯარიმო ქულა მიიღო, ისიც მსოფლიოს ექს-ჩემპიონ გარჯევთან ჭიდილში. ანდრო წლევანდელი სპორტული სეზონის გმირია. იანვრიდან მოყოლებული, მან მოიგო თბილისისა და ირანის საერთაშორისო ტურნირები, სსრ კავშირის პირველობა და ევროპის ჩემპიონატი. დარჩა ოლიმპიური ტურნირი, თუმცა... ჯერ საჭიროა ბრძოლა მექსიკის საგზურისთვის. ნუ დავავიწყდებათ, რომ ნაკრებში ადგილს ანდროს სახელგანთქმული ბორის გურევიჩი ეცილება.

**● თქვენ, როგორც სსრ კავშირის ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა, ოლიმპიური სამზადისის ავკარგი იცით. რა პერსპექტივებით ხვდება მეხიკოს საბჭოთა ნაკრები?**

— სსრ კავშირის „მექსიკური" გუნდი, რა თქმა უნდა, უფრო ძლიერი იქნება, ვინემ სკოპლეში იყო. მაგრამ ჩვენთვის ახლა ძირითადი პრობლემაა უმჩატესი წონა, სადაც სსრ კავშირის ნაკრები შესამჩნევად მოიკოჭლებს, ხოლო მისი მეტოქეები — იაპონიის, ირანის, თურქეთის, ბულგარეთის მოჭიდავეები ტრადიციულად ძლიერნი არიან.

**● დაგვისახელეთ ნაკრების ნაღდი კანდიდატები.**

— ა. ალიევი, ე. თედეევი, ზ. ბერიაშვილი, შ. ლომიძე და ა. მედვედი. თუმცა გამორიცხული არაა, რომ რომელიმე მათგანის ადგილი ახალგაზრდა მოჭიდავემ დაიკავოს. მთავარი ყურადღება, ცხადია, სპორტულ ფორმას ექცევა: ნაკრებში ის მოხვდება, ვინც უძლიერესი იქნება მეხიკოში გამგზავრების წინ.

**● ხომ ვერ ჩამოგვითვლით ნაკრების სავარაუდო წევრებს?**

— რატომაც არა. უმჩატეს წონაში — ალიბეგაშვილი ან ალბარიანი, მჩატეში — ალიევი, ქვემსუბუქში — თედეევი, მსუბუქში — ბერიაშვილი, ქვესაშუალოში — შახმურადოვი, საშუალოში — ცხოვრებოვი, ქვემძიმეში — ლომიძე, მძიმეში — მედვედი.

**● მართალია, პროგნოზები მეტად მერყევი საქმეა, მაგრამ მოდით, გავაგრძელოთ მარჩიელობა. თქვენი აზრით, ვის რა შანსები აქვს მეხიკოში?**

— ალიევს ჩემპიონობა ეჭვს არ იწვევს. ბერიაშვილს ოქროს მედლის მოსაპოვებლად აუცილებლად დასჭირდება ერთ-ერთი ფავორიტის (ბულგარელი ვილჩევის ან ირანელი მოვახედის) დამარცხება. შახმურადოვს ძნელი ბრძოლა ელის თურქ ათალაისთან. ქვემძიმე წონაში ოქროს მედლის ბედი ლომიძე — აიკის (თურქეთი) შერკინებაში გაირკვევა. მედვედი მძიმე წონაში კვლავ მთავარ ფავორიტად რჩება.

**● თქვენი ნათქვამიდან გამოდის, რომ ჩემპიონობის ნაღდი შანსი მხოლოდ ალიევს და მედვედს აქვთ.**

— ჭეშმარიტებაა.

**● დაბოლოს, ერთი შეკითხვა: ხომ ვერ დაგვისახელებთ მეხიკოს ოლიმპიადის პრიზიორთა სავარაუდო სამეულებს?**

— თუ გავითვალისწინებთ საერთაშორისო შეჯიბრებათა და ტურნირების შარშანდელ და წლევანდელ შედეგებს, სავარაუდო პრიზიორები ესენი უნდა იყვნენ (გვარები ანბანის მიხედვითაა დალაგებული): უმჩატესი — ნაკატა (იაპონია), თ იუნ ენი (სამხრეთ კორეა), ჭიდარი (ირანი); მჩატე — ალიევი (სსრ კავშირი), თალები (ირანი), სინგხი (ინდოეთი); ქვემსუბუქი — თედეევი (სსრ კავშირი), კანეკო (იაპონია), ტოდოროვი (ბულგარეთი); მსუბუქი — აგრალი (თურქეთი), ბერიაშვილი (სსრ კავშირი), ვილჩევი (ბულგარეთი), მოვახედი (ირანი); ქვესაშუალო — ათალაი (თურქეთი), რობენი (საფრანგეთი), სასაკი (იაპონია), შახმურადოვი (სსრ კავშირი); საშუალო — ბოლა (რუმინეთი), ბუკმანი (აშშ), გარჯევი (ბულგარეთი), გუნგორი (თურქეთი), გურევიჩი ან ცხოვრებოვი (სსრ კავშირი); ქვემძიმე — აიკი (თურქეთი), ლომიძე (სსრ კავშირი), მუსტაფოვი (ბულგარეთი); მძიმე — დურალიევი (ბულგარეთი), კრისტოფი (აშშ), მედვედი (სსრ კავშირი).

---

## ქალაქი და სოფელი

### კეთილმოწყობილი სტადიონი

აბაშის რაიონის სოფელ კვათანაში უწინ არ ჰქონდათ სპორტული მოედნები, კერძოდ, ფეხბურთის სათამაშო მინდორი.

ახლა კვათანას კეთილმოწყობილი სტადიონი გააჩნია, რომლის აგებას სათავეში ედგა აბაშის საქალაქო საბჭოს დეპუტატი კ. ლიპარტია. მისი ენერგიული საქმიანობის, აგრეთვე, ეთერ-ზეთების ქარხანა-მეურნეობის მუშაკთა დახმარებით აქაურ ახალგაზრდობას უკვე აქვს ფეხბურთის მინდორი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, მძლეოსნობის სექტორები.

ბაზა შემოღობილი და გამწვანებულია.

ადგილობრივი სპორტსმენები სისტემატურად ვარჯიშობენ და ატარებენ შეჯიბრებებს.

**რ. ჭანტურია.**
**(ჩვენი კორ.).**
აბაშის რაიონი.

---

## გვესმის სიგნალი

### როდის დაკავდება სავველი?

4 წელია დაკეტილია დრანდის სტადიონი. პირდაპირ გაოცებას იწვევს მათი გულგრილობა, ვინც უნდა ზრუნავდეს ახალგაზრდების სპორტული გაკაჟებისთვის.

გულრიფშის რაიონის სპორტკავშირმა სათანადო ზომებს უნდა მიმართოს არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

**შ. ჯალაღონია.**
**(ჩვენი კორ.).**
გულრიფშის რაიონი.

---

## რესპუბლიკის სტადიონებზე

### ✦ სოხუმი

„დინამოს" სტადიონზე შედგა ფინალური მატჩები „ტყავის ბურთის პრიზზე" ნორჩ ფეხბურთელთა შორის. როგორც უმცროს, ისე უფროს ასაკობრივ კატეგორიაში ერთმანეთს შეხვდნენ სოხუმისა და ოჩამჩირის წარმომადგენლები. უმცროსთა მატჩი ოჩამჩირის „დუკლასა" და სოხუმის „ვოსტოკს" შორის მოიგეს ოჩამჩირელებმა — 2:0. უფროსებში სოხუმის „სოკოლმა" ანგარიშით 1:0 დაამარცხა ოჩამჩირის „სამშიტი".

**ჯ. შოთაძე.**

### ✦ გეგეჭკორი

საკმაოდ ხალხმრავალი ფიზკულტურული კოლექტივია სოფ. დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. ამას წინათ აქ მოეწყო შიდასაკოლექტივო პირველობა ფეხბურთში 7 გუნდის მონაწილეობით. წარმატება წილად ხვდათ მეურნეობის შიდა ცენტრის წარმომადგენლებს.

**ვ. ნაჭყებია,**
**დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.**

### ✦ კასპი

12 გუნდის მონაწილეობით მიმდინარეობდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს თასის გათამაშება ფეხბურთში. შეჯიბრება დაუმარცხებლად ჩაატარა კავთისხევის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა, რომელიც დაეუფლა კიდეც პრიზს. II ადგილზე არიან ოკამის ფეხბურთელები.

• • •

რაიონის ჩემპიონის წოდება კალათბურთელ ვაჟთა შორის მოიპოვა კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივმა. მომდევნო ადგილებზე არიან ოკამისა და „კასპიელექტროაპარატის" გუნდები.

**ლ. ელისაბედაშვილი,**
**ო. თხინვალელი.**

---

## თასი კვლავ მოსკოვში რჩება

**გორკი, 25 ივლისი.** სსრ კავშირის თასი ტანვარჯიშში წლეულს მოსკოველმა ოფიცერმა ს. დიომიდოვმა დაისაკუთრა (ეს ჯილდო უძლიერეს ტანმოვარჯიშე ქალთა შეჯიბრებაშიც მოსკოვის წარმომადგენელს — ზ. ვორონინას ხვდა).

II და III ადგილები დაიკავეს 19 წლის მოსკოველმა ვ. კლიმენკომ და ნაკრების ვეტერანმა ვ. ლისიცკიმ (მოსკოვის ოლქი). როგორც ვიუწყებოდით, შეჯიბრებაში მ. ვორონინი არ მონაწილეობდა. ამიტომ ნებისმიერი პროგრამით მოასპარეზე 14 ვაჟიდან გორკის სპორტის სასახლეში ოთხშაბათს ყველაზე მეტად სწორედ ამ სამმა ტანმოვარჯიშემ მიიპყრო ყურადღება.

**ტექნიკური შედეგები**

1. ს. დიომიდოვი — 117,2, 2. ვ. კლიმენკო — 116,8, 3. ვ. ლისიცკი — 116,0, 4. ვ. ილინიხი—115,2, 5. ვ. სოშინი — 114,5, 6. ვ. მედვედევი (სამივე — მოსკოვი)—114,5.

## „რუსული არყის ხის" გაცილება

ბორკი, 26 ივლისი. ხუთშაბათ საღამოს სარბიელი ეკუთვნოდა სამ ტანმოვარჯიშეს: ლ. ბურდას, ზ. ვორონინას და თ. ლაზაკოვიჩს. მათ მოიხვეჭეს ქვეყნის ჩემპიონატის ყველა უმაღლესი ჯილდო მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში.

15 წლის ვორონეჟელი მოსწავლე ლ. ბურდა პირველი იყო ორძელზე და დვირზე. მოსკოველმა ზ. ვორონინამ ყველაზე უკეთ შეასრულა ბჯენითი ხტომა და ისევ ერთადერთმა მიიღო უმაღლესი შეფასება თავისუფალ ვარჯიშში — 10 ქულა!

თ. ლაზაკოვიჩმა მოიგო ოთხივე ვარჯიში ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა საკავშირო შეჯიბრებაში.

იმავე დღეს, დილით, გაზეთებში გაჩნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ფიზკულტურული მოძრაობის მუშაკთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ. შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდნენ ი. შტუკმანი და ვ. დმიტრიევი. თავის აღსაზრდელებს ამ ორდენებთან ერთად ბურდამ და ლაზაკოვიჩმა ჩემპიონის ოქროს მედლებიც მიართვეს.

შეჯიბრების ბოლოსწინა დღეს გორკის სპორტის სასახლეში ერთი თავისუფალი ადგილიც არ იყო. მაყურებლები არც შემცდარან. საღამო მართლაც ჩინებული გამოდგა. ჯერ ახალ ორდენოსნებს მიულოცეს, შემდეგ გააცილეს „რუსული არყის ხე" — პოლინა ასტახოვა.

ნაკრების სახელით სიტყვა წარმოთქვა ლ. პეტრიკმა.

— ჩვენი ყველაზე დიდი ოცნებაა თქვენ დაგემგვანოთ. ძალიან გვიყვარხართ.

ასტახოვას მეგობარმა ნაკრებიდან ლ. ლატინინამ სათქმელი ასე დაამთავრა:

— პოლინა მწვრთნელად იწყებს მუშაობას. რაც შეიძლება მალე ველით მისგან არყის ხის ნორჩი ყლორტების გამოზრდას.

ტანმოვარჯიშე ქალებმა მედლების გათამაშება ბჯენითი ხტომით დაიწყეს (სამწუხაროდ, ლ. ტურიშჩევამ მცირე ტრავმის გამო უძლიერესთა შეჯიბრებაში მონაწილეობა ვერ მიიღო). საერთო ქულა თასის გათამაშების სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამის ნახევარი ჯამისა და ბოლო შეფასების მიხედვით გამოჰყავდათ.

პეტრიკმა, რომელიც მანამდე ლიდერობდა, 9,85 ქულა მიიღო. მაგრამ მას ვორონინამ გაუსწრო — 9,9 ქულა. თასს მიემატა ოქროს პატარა მედალი.

შემდეგ ორძელსა და დვირზე მოპოვებული მაღალი ჯილდოებისთვის მწვრთნელ შტუკმანის ორი კოცნა მიიღო ბურდამ. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ბურდა თავის ურთულეს ილეთებს ვიწრო ლატანზე კი არა, დიდ ხალიჩაზე ასრულებდა. შტუკმანის აღსაზრდელებმა დვირზე ორმაგი გამარჯვება მოიპოვეს — II ადგილი დაიკავა ვორონეჟელმა ტანმოვარჯიშემ ა. დემიანენკომ. მისი მკლავების ლამაზი მოძრაობა გიგანტური პეპლის ფრთების ფართქალს ჰგავდა.

ვორონინამ დვირზე უმაღლესი სირთულის ელემენტების ერთი ჯგუფი გამოტოვა, რის შედეგადაც იმ საღამოს დაბალი შეფასება მიიღო — 8,45. მაგრამ შემდეგ მან 10 ქულაც მიიღო მშვენივრად შესრულებული თავისუფალი ვარჯიშისთვის.

იმ საღამოს მაყურებლის სიმპათია დაიმსახურა კიდევ ერთმა სპორტსმენმა. ეს იყო ლარისა პეტრიკი თავისი „ბოშურით". მაყურებლები ტაშით აჰყვნენ ტაქტს და მხოლოდ ტანვარჯიშის ყველაზე „გამოცდილი" გულშემატკივრების მოთხოვნით ჩაჩუმდნენ. შეფასება — 9,9 ქულა. როგორც ჩანს, მეხიკოში თავისუფალი ვარჯიშის არ უნდა გვეშინოდეს. და არა მხოლოდ თავისუფალი ვარჯიშისა. ახლა ჩვენ დიდი არჩევანი გვაქვს და ოქროს მედლებისთვის ბრძოლა ყველა ფრონტზე შეგვიძლია.

**პირადი ჩემპიონატის პრიზიორთა ტექნიკური შედეგები ცალკეულ სახეობებში**

ბჯენითი ხტომა. 1. ზ. ვორონინა (მოსკოვი) — 9,9 პლუს 9,9—19,8 ქულა, 2. ლ. პეტრიკი (ვიტებსკი) — 9,925 პლუს 9,85—19,775, 3. ლ. ბურდა (ვორონეჟი) — 9,7 პლუს 9,65 — 19,35.

ორძელი. 1. ბურდა — 9,725 პლუს 9,8 — 19,525, 2. ვორონინა — 9,7 პლუს 9,75 — 19,45, 3. ა. დემიანენკო (ვორონეჟი) — 9,625 პლუს 9,6 — 19,225.

დვირი. 1. ბურდა — 9,775 პლუს 9,8 — 19,575, 2. დემიანენკო — 9,525 პლუს 9,75 — 19,3, 3. პეტრიკი — 9,525 პლუს 9,65 — 19,175.

თავისუფალი ვარჯიში. 1. ვორონინა — 9,875 პლუს 10—19,875, 2. პეტრიკი — 9,75 პლუს 9,9 — 19,65, 3. ბურდა — 9,775 პლუს 9,8 — 19,575.

ფეხბურთი



-68

სსრ კავშირის პირველობა

გუნდები, გოლები, ნომრები

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

სსრ კავშირის XXX, საიუბილეო ჩემპიონატი ეკვატორს გასცდა: პირველი წრის შეხვედრები მოათავა ყველამ, ექვსმა გუნდმა მეორე წრის თითო მატჩი ითამაშა.

სტატისტიკოსის თვალი გადავავლოთ პირველი ნახევრის ზოგიერთ შედეგს. შარშანდელი პრიზიორებიდან მხოლოდ ჩემპიონი — კიევის „დინამო" იმყოფება მოწინავე სამეულში. ახლა, როგორც იცით, I ადგილზეა მოსკოვის „სპარტაკი" (შარშან — VI ადგილი), ხოლო მესამეზე — მოსკოვის „ლოკომოტივი" (შარშან — XIV ადგილი).

1967 წელს ლიდერი იყო მოსკოვის „დინამო", რომელიც წლევანდელი გათამაშების პირველი წრის შემდეგ მხოლოდ XIV ადგილზეა. თბილისის „დინამომ" ერთი ადგილით დაიხია.

პირველ წრეში რამდენიმე ინდივიდუალური და კოლექტიური იუბილე აღინიშნა. თბილისის „დინამომ" (ხურცილავა) და ცსკა-მ (პონომარიოვი) გაიტანეს 1300-ე გოლები, ხოლო მოსკოვის „სპარტაკმა" (ლოგოფეტი) — 1400-ე. მიაქციეთ ყურადღება: ყველა ამ საიუბილეო გოლის ავტორები მცველები არიან.

ამ მხრივ მოხვედრილთაგან ძალზე წინ არიან წასული მოსკოვის დინამოელები, რომელთა აქტივშია უკვე 1533 ბურთი.

„300-ანთა" კლუბს შეუერთდა მოსკოვის არმიელთა გუნდის მცველი შაგრიჩი. იგი მეექვსე ფეხბურთელია ჩვენში, რომელსაც ჩემპიონატის 300 მატჩი აქვს ჩატარებული.

როსტოვის არმიელთა თავდამსხმელმა კოპაევმა სადღეისოდ გაიტანა 114 გოლი. თუ გავითვალისწინებთ მის საუკეთესო სპორტულ ფორმას, უნდა ვივარაუდოთ, რომ კოპაევი საბჭოთა ფეხბურთის მოწინავე სნაიპერთა სიაში მოხვდება.

წლეულს ძალიან აქტიურად თამაშობენ მცველები, რომლებსაც სისტემატურად გააქვთ გოლები. ჩემპიონატის მონაწილეთა შორის არ არის გუნდი, რომლის აქტივში არ იყოს მცველთა მიერ გატანილი ბურთები. თბილისის „დინამოში" ასეთი მცველები არიან ხურცილავა და ჭელიძე, ქუთაისის „ტორპედოში" — შერგელაშვილი და ზარია.

წლევანდელ თამაშებში სულ დაინიშნა 15 პენალტი. აქედან 5 დაარტყეს სტუმრებმა, 10 — მასპინძლებმა. 14 პენალტი მიზანს მოხვდა და მხოლოდ თბილისის „დინამოს" მეკარე ურუშაძემ შეძლო ერთადერთი 11-მეტრიანის აღება. ეს მოხდა მატჩში მოსკოვის „ტორპედოსთან" 15 ივლისს. პენალტი დაარტყა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ე. სტრელცოვმა.

„ა" კლასის I ჯგუფში ათამდე მოთამაშეა მინდვრიდან გაძევებული. ამ მხრივ ერთობ არასახარბიელო „რეკორდი" ეკუთვნის როსტოვის არმიელთა გუნდის თავდამსხმელს ა. ესკოვს. იგი ორჯერ გააძევეს მინდვრიდან: ჯერ ლუგანსკში, შემდეგ — დონეცკში.

საკუთარ კარში ბურთები გაიტანა შვიდმა მოთამაშემ.

ჩემპიონატის ყველაზე პოპულარული ანგარიშია 1:0. ასე დამთავრდა 60 შეხვედრა. 30 მატჩი დასრულდა ანგარიშით 1:1, 26 შემთხვევაში ბურთი არ გატანილა — 0:0.

მოსკოვის „სპარტაკმა" მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა ისე, რომ არ გაუტანია ბურთი (თბილისის „დინამოსთან" — 0:0). დანარჩენ 18 შემთხვევაში სპარტაკელებს ბურთები გამქონდათ. ეს ყველაზე უკეთესი შედეგია.

ყველაზე საიმედოდ თავისი კარი ჩაკეტილი აქვს თბილისის „დინამოს". ჩვენი გუნდის კარი აუღებელი იყო 13 შეხვედრაში. მოსკოვის „ლოკომოტივმა" 12 მატჩი დაამთავრა ისე, რომ ბურთი არ გაუშვია. კიევის „დინამოს" 11 ასეთი თამაში აქვს, მოსკოვის „სპარტაკს" — 9.

თბილისის „დინამო" წლეულს თავისებური რეკორდსმენია გაშვებული ბურთების სიმცირის მხრივ: 19 მატჩში სულ 6 ბურთი. მაგრამ ეს 6 გოლი გუნდს 8 ქულის ფასად უზის. მხოლოდ ერთ შემთხვევაში (როსტოვის არმიელებთან) გაშვებულ ბურთს დინამოელთათვის არ მიუცია დანაკლისი. მოსკოვის „ლოკომოტივთან", ბაქოს „ნეფტჩისთან" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან" თბილისელებმა წააგეს ანგარიშით 0:1 (— 6 ქულა), ხოლო ორმა ფრემ კიევის „დინამოსთან" და დონეცკის „შახტიორთან" (1:1) „წააგო" კიდევ 2 ქულა.

დიდი ანგარიშით მოგებებით (3 და მეტი ბურთის სხვაობით) წინ არიან მოსკოვის „ტორპედო" და „ლოკომოტივი", თვითეულს 3 ასეთი გამარჯვება აქვს.

* * *

სურათზე: ე. სტრელცოვი.

ფოტო ვ. კუზმინის და ა. იაკოვლევისა (საკდესი).



## სპორტულ-ტექნიკურ კომისიაში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ ამას წინათ თავის სხდომაზე განიხილა ბაქოს „ნეფტჩისა" და ცსკა-ს მატჩში მომხდარ დარღვევათა საკითხი.

ბაქოელებს პროტესტი ჰქონდათ შეტანილი იმის თაობაზე, რომ მინსკელმა არბიტრმა ვ. ხოდინმა არაკვალიფიციურად იმსაჯა ეს თამაში, ხოლო ცსკა-ს ხელმძღვანელობამ თავის მოხსენებით ბარათში აღნიშნა, რომ თამაში მიმდინარეობდა არანორმალურ პირობებში, უხეშად თამაშობდნენ ბაქოელები სემიგლაზოვი, სიომინი, ტუაევი და სხვანიც, რომლებიც ხელს უშლიდნენ მსაჯს.

სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ დაადგინა, რომ მატჩი ბაქოში მიმდინარეობდა არანორმალურ პირობებში, მკაცრად გააფრთხილა ქალაქის სპორტული ორგანიზაციები, რომ ასეთი ამბის გამეორებისას ბაქოს სტადიონს მიეცემა დისკვალიფიკაცია. „ნეფტჩის" მოთამაშე სემიგლაზოვი უხეში თამაშისთვის დისკვალიფიცირებულია 3 მატჩით, ხოლო სიომინი — 1 თამაშით. აღინიშნა „ნეფტჩის" კოლექტივის უფროსის ორდუხანოვის უწესო საქციელი, რომელიც შეუფერებელია ხელმძღვანელისა და აღმზრდელისთვის. „ნეფტჩის" უარი ეთქვა პროტესტზე, როგორც დაუსაბუთებელზე.

# მიზანი გამარჯვებაა

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ხარკოვში, რკინიგზელ რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატში ყველას აჯობა თბილისის „ლოკომოტივის" გუნდმა. „ლელოს" კორესპონდენტმა ინახულა ცენტრალური საბჭოს ჩემპიონთა მწვრთნელი ნ. უიფიანი და სთხოვა ეამბნა როგორ წარიმართა ბრძოლა, გამარჯვებულთაგან ყველაზე მეტად ვინ გამოიჩინა თავი, როგორია გუნდის სამერმისო გეგმები.

— საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებამ თბილისის „ლოკომოტივის" შეჯიბრებათა კალენდარი საგრძნობლად დატვირთა. ცენტრალური საბჭოს პირველობა, საკავშირო ზონალური ტურნირი, საკავშირო ჩემპიონატის ფინალი,—ყველა ეს წლევანდელი შეჯიბრება მეტად პასუხსაგები გახლდათ.

ცენტრალური საბჭოს პირველობაში საასპარეზოდ ერთგვარად შესუსტებული შემადგენლობით გავემგზავრეთ — სტუდენტთა საგაზაფხულო სესიების გამო გუნდს დროებით გამოაკლდა 5 მოწინავე მოთამაშე. პირველი შეხვედრა კაუნასის კოლექტივთან გვქონდა. მატჩი ჩვენი უპირატესობით დაიწყო და 21-ე წუთზე კვინიხიძემ გახსნა ანგარიში—3:0. შესვენებამდე თბილისელთა იერიში კარგად დაამთავრა ბენიაშვილმა, რომელიც მარცხენა ფრთიდან გაექცა მეტოქეებს და ბურთი ჩათვლის მოედანზე დადო. კვინიხიძემ ზუსტად გამოიყენა რეალიზაცია — 8:0. შესვენების შემდეგ ისევ კვინიხიძემ იმარჯვა. საბოლოოდ — გამარჯვება — 11:0.

საინტერესო და დაძაბული გამოდგა ჩვენი გუნდის შეხვედრა მოსკოველებთან. გადამწყვეტ უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — 3:3. თბილისელებს ჩემპიონობა მოგვიპოვა ბოლო ორთაბრძოლამ, რომელიც ხარკოველებთან გვქონდა. შეხვედრა მოვიგეთ — 36:3 (II ადგილზე გავიდნენ მოსკოვის, III — ხარკოვის რეგბისტები).

მთელი გუნდი მონდომებით თამაშობდა. განსაკუთრებით ისახელეს თავი ჯაფარიძემ, რაფავამ, კვინიხიძემ, კაპანაძემ, თ. რუხაძემ, მიქაბერიძემ და ხარშილაძემ.

წლევანდელი სეზონის მთავარი ბრძოლა წინაა. 6 აგვისტოს ბაქოში დაიწყება საკავშირო ჩემპიონატის სამხრეთის ზონალური ტურნირი. აქ გამარჯვებული მიიღებს ოქროს მედლებისთვის ასპარეზობის უფლებას. ჩვენი მიზანიც ნათელია — გამარჯვება!

„ლელოს" ინტერვიუ

# სად იყვნენ დანარჩენი გუნდები?

გორში ჩატარდა რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებათა გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ასპარეზობა საინტერესო იყო, მაგრამ იგი გაცილებით მოიგებდა, ყველა საზოგადოებას რომ მიეღო მონაწილეობა. გაურკვეველი მიზეზებით გუნდები არ გამოიყვანეს „დინამომ", „სპარტაკმა", „ლოკომოტივმა", „შრომითმა რეზერვებმა"...

ტურნირში მონაწილე კოლექტივებმა — „განთიადმა", „კოლმეურნემ" და „ბურევესტნიკმა" (ეს უკანასკნელი გორელი სპორტსმენებისგან შედგებოდა) საკმაოდ ძლიერი ფალავნები წარმოადგინეს და მაყურებლებსაც ჭეშმარიტი სიამოვნება მოჰგვარეს.

ძლიერი, პერსპექტიული მოჭიდავეებით იყო დაკომპლექტებული უკონკურსოდ მონაწილე ლანჩხუთისა და გორის რაიონების კოლექტივებიც. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ფირცხალაიშვილმა (ლანჩხუთი), ბეთლემიძემ და მამულაიშვილმა (გორის რაიონი).

მოწონება დაიმსახურა განთიადელი გავარდაშვილის ვაჟკაცურმა ჭიდილმა, ხოლო „კოლმეურნის" ფალავნის ონაშვილის სახით (მან ამას წინათ გამოიჩინა თავი იაპონელ ძიუდოისტებთან ამხანაგურ შეხვედრაში) სარბიელს საიმედო ოსტატი ეზრდება. კარგი იყო მისი თანაგუნდელი გუთნიაშვილიც. ქებას იმსახურებენ ბურევესტნიკელი ფალავნები თვაური, ხორბალაძე და თანდილოვი, რომლებმაც ხელი შეუწყვეს თავიანთი გუნდის გამარჯვებას.

II-III ადგილებზე არიან „კოლმეურნე" და „განთიადი".

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

გორი.

ქართული ჭიდაობა

# საყურადღებო ნაშრომი

წიგნის თარო

„ფიზიკური აღზრდა საქართველოს სკოლებში" (1900-1917 წ. წ.) ზ. შერაზადიშვილის ვრცელი მონოგრაფიული ნარკვევის ერთი ნაწილია. ამ წიგნით ავტორი ამთავრებს ოქტომბრის რევოლუციამდელი საქართველოს სასკოლო ფიზიკური აღზრდის საკითხების შესწავლასა და გამოქვეყნებას.

ზ. შერაზადიშვილის ნაშრომის ცალკეული ნაწილები უკვე 10-15 წელია ქვეყნდება ჩვენს პერიოდულ პრესაში, სხვადასხვა კრებულში, ცალკე წიგნების სახით. მათ საკითხით დაინტერესებულ პირთა და მკითხველი საზოგადოების სათანადო ყურადღება დაიმსახურეს.

ამ მონოგრაფიული ნაშრომის წყალობით, რომელშიც ერთად არის თავმოყრილი ავტორის მიერ მთელი ოცი წლის მანძილზე გაწეული ნაყოფიერი კვლევის შედეგები, ქართველი მკითხველისთვის პირველად გახდა ცნობილი საქართველოს სასკოლო ფიზიკური აღზრდისა და, საერთოდ, ჩვენში ტანვარჯიშის („გიმნასტიკა" — ფართო გაგებით) განვითარების პირველი ნაბიჯები, რაც გასული საუკუნის პირველ ნახევარსა და 60-ან წლებში გადაიდგა. მისი წყალობით შევიტყვეთ ავსტრიის ქვეშევრდომ ვინმე რუდოლფ ვაისისა და ივანე რუსეცკის გვარები, რომლებიც 1861 წლიდან პირველნი ასწავლიდნენ ტანვარჯიშს ქუთაისისა და თბილისის ვაჟთა გიმნაზიებში, გარდა ამისა ქუთაისის გიმნაზიის პანსიონის ტანვარჯიშის მასწავლებელს მინა პეტრიაშვილს, რომელიც ტანვარჯიშის პირველ ქართველ მასწავლებლად უნდა ჩაითვალოს. სავსებით ახალი და საინტერესოა ცნობები თბილისის სათავადაზნაურო ქართული სკოლის (შემდეგში გიმნაზია) ტანვარჯიშის მასწავლებელთა შესახებ. ეს სკოლა 1879 წლის 6 თებერვალს გაიხსნა და ტანვარჯიშს იმთავითვე მიექცა ყურადღება. ავტორი წერს, რომ 1887 წლის სექტემბრიდან სკოლაში ამ საგანს ასწავლიდა გიორგი აგლაძე, 1889-1899 წლებში — შტაბს-კაპიტანი მ. გედევანიშვილი, 1899-1904 წლებში — ა. ჩხეიძე, 1904-1906 წლებში — გ. გაბაშვილი, 1910 წლიდან — გ. ეგნატაშვილი. უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ მასწავლებელთაგან ადრე მხოლოდ ა. ჩხეიძეს და გ. ეგნატაშვილს ვიცნობდით, ისიც ნაწილობრივ.

განსაკუთრებით საყურადღებოა ცნობები ტანვარჯიშის პირველ ცენზიან მასწავლებელზე ი. გაბაშვილზე.

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს როგორც ვაჟთა, ისე ქალთა სასწავლებლებში — სახალხო განათლების, ფინანსთა, თუ სამხედრო სამინისტროების სკოლებში, სასულიერო თუ კერძო უწყების სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის ისტორიის ნათელი და სწორი სურათი. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რამდენადაც დასახელებული უწყებებიდან დღემდე ცალკეული და არასრული ცნობები მოგვეპოვებოდა სახალხო განათლების სამინისტროს მხოლოდ ვაჟთა ზოგიერთი სკოლის ფიზიკური აღზრდის ისტორიიდან.

ყურადღებას იქცევს მასალების სისრულე თბილისში, ქუთაისში და კავკასიის სხვა ქალაქებში 1909-1914 წლებში მოწყობილი ტანვარჯიშის მასწავლებელთა მოსამზადებელი მოკლევადიანი საზაფხულო კურსების შესახებ. მართალია, ამ საკითხს ზოგიერთი სხვა ავტორიც შეეხო, მაგრამ მათი ცნობები ფრაგმენტული ხასიათისაა, ზოგჯერ კი ნაკლებ სანდოც.

სრულადაა შესწავლილი და სწორადაა შეფასებული კავკასიის სასწავლო ოლქში შექმნილი მდიდარი ტანვარჯიშული ლიტერატურა და მისი მნიშვნელობა როგორც რუსული, ისე ქართული ტანვარჯიშული ლიტერატურისა და ტერმინოლოგიის დამუშავებასა და შექმნაში, რაშიც მოწვეულ ცნობილ ჩეხ ტანმოვარჯიშეებთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით საგნის ქართველ მასწავლებლებსაც (გ. ეგნატაშვილი, ი. გაბაშვილი, გ. ნიკოლაძე და სხვ.). ეს განსაკუთრებით ითქმის სასკოლო ტანვარჯიშის ადგილობრივად შედგენილ პროგრამაზეც, რომლის ავ-კარგი წიგნში ზომიერად არის განხილული და გადმოცემული.

სარეცენზიო შრომაში სწორად არის გადაწყვეტილი პრინციპული დავა ქუთაისის ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლის" ჩამოყალიბების, არსებობის წლებისა და საქმიანობის შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მასალები, რომლებითაც დასტურდება, რომ ქართული ხალხური სპორტის მთელი რიგი ძირითადი სახეობები (ქართული ჭიდაობა, კრივი, ლელო, ცხენოსნური სპორტის ცალკეული სახეობები და ა. შ.), უამრავი ქართული ხალხური თამაშობა და ქართული ქორეოგრაფიის შესანიშნავი ნიმუშები მონოგრაფიაში განხილული მთელი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სკოლაში, თუ სკოლის გარეთ არასაქმარისი სასკოლო ფიზიკური აღზრდის მნიშვნელოვან შევსებას წარმოადგენდა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს სასკოლო ფიზიკური აღზრდისადმი ქართული საზოგადოებრივი და პედაგოგიური აზროვნების დამოკიდებულების საკითხის კარგი ავტორისეული შესწავლა. როგორც მთელს მონოგრაფიაში, ისე სარეცენზიო წიგნში მოკლედ, მაგრამ მაინც არის წარმოდგენილი მასალები შრომებიდან, რომლებიც ავტორმა მიუძღვნა ამ საკითხისადმი ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას შეხედულებათა შესწავლას. ახალია და საყურადღებო მასალები ს. მგალობლიშვილის, ი. როსტომაშვილის, ნ. ნიკოლაძის, ს. გოგლიჩიძის, ა. ჭიჭინაძის, ი. ფერაძის, გ. ნიკოლაძის და სხვათა შეხედულებებზე.

ახალი კუთხით არის განხილული ლ. ბოცვაძის შეხედულებანი ფიზიკურ აღზრდაზე. ავტორი სწორად მოიქცა, რომ ამ დარგში ი. ჭავჭავაძის მიერ ადრევე აღებული გეზის გაგრძელებად და თანამედროვე ქართული პედაგოგიური აზროვნებისათვის ძირითადი მეცნიერული საფუძვლების მომზადებად უმთავრესად ი. ფერაძისა და ლ. ბოცვაძის შეხედულებანი მიიჩნია.

ნ. შიშნიაშვილი,
საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი.



# სპორტული ოჯახი

სოფელ ქუბერში (მესტიის რაიონი) სოსო ვიბლიანს ადრიდანვე კარგ მონადირედ, მოჭიდავედ და მთამსვლელად იცნობდნენ.

ახლა სოსო სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობს. დიდი ხანია 60 წელს გადააბიჯა, მაგრამ სპორტის ტრფიალი არ განელებია. ქუბერში შეჯიბრება არ გაიმართება, რომ ვიბლიანი მისი მოთავე და მონაწილე არ იყოს. რაც მთავარია, იგი ცდილობს სოფლის ახალგაზრდობასაც შეაყვაროს სპორტი.

სოსოს შვილები — გივი, შოთა, ბიკენტი, ალიოშა და ავრორა სპორტსმენები არიან. მათ კარგად იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. უფროსმა ვაჟმა — გივიმ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა. დღეს იგი სპორტის ოსტატი და სსრ კავშირის ხალხთა სამი საკავშირო სპარტაკიადის მონაწილე მძლეოსანია. სტუდენტები შოთა და ბიკენტი ჭიდაობაში სპორტის ოსტატები არიან. სპორტის ოსტატობის კანდიდატი ალიოშა საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდის წევრია, მოსწავლეთა 1965 წლის საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი. ავრორა ერთ-ერთი პერსპექტიული მტყორცნელი გოგონაა საქართველოში, რომელზეც მისი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ლ. ტუღუში დიდ იმედებს ამყარებს.

სურათზე: ბიკენტი, შოთა, ავრორა, ალიოშა და გივი ვიბლიანები ვარჯიშის დროს.

ფოტო და ტექსტი ი. იუნაევისა.

## ლიდერობენ უკრაინელი პლანერისტები

**ორიოლი, 24 ივლისი.** კოკისპირული წვიმისა და ძლიერი ქარის გამო პლანერისტთა 30-ე საკავშირო პირად-გუნდური პირველობა სამი დღით შეწყდა. შემდეგ ცაზე ბოლქვებივით გამოჩნდა ლურჯელი და ვერცხლისფერი პლანერები ჰაერში აიჭრნენ. წარმატება კვლავ უკრაინელ სპორტსმენს ე. რუდენსკის ხვდა. რთულ პირობებში მან ორჯერ დაფარა 100-კილომეტრიანი სამკუთხა მარშრუტი 3 საათში, 9 წუთსა და 15 წამში. რუდენსკიმ უკვე ოქროს მესამე მედალი დაისაკუთრა. მას ეკუთვნის ლიდერობა მრავალჭიდშიც.

ქალებში ამ დისტანციაზე საუკეთესო შედეგი აჩვენა მოსკოველმა ო. მანაფოვამ. იგი ქვეყნის ჩემპიონია ორ ვარჯიშში, მაგრამ მრავალჭიდის ჯამში მოსკოველი ლიტველმა სპორტსმენმა ს. სუდსიკაიტემ ჩამოიტოვა.

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ უკრაინის პლანერისტები.

## „რაკეტაზე" სწრაფად

**სარატოვი, 24 ივლისი.** გემსამოდელო სპორტში რსფსრ-ს წარმომადგენელთა შეჯიბრებაში დამყარდა ახალი საკავშირო რეკორდი გლისერის მოდელისთვის—საათში 150 კმ. ამ რეკორდის ავტორია გ. სამარინი (ვლადიმირის ოლქი).

საკონკურსოდ სხვადასხვა კლასის გემების 280 მოდელი წარმოადგინეს 27 ოლქის, მხარისა და ავტონომიური რესპუბლიკის სპორტსმენებმა. საუკეთესო კონსტრუქტორები აღმოჩნდნენ ვლადიმირის ოლქის წარმომადგენლები. II ადგილი დაიკავეს ვოლგოგრადელებმა, III — კრასნოდარის მხარის სპორტსმენებმა.

## წარმატებით გაიარეთ...

**დნეპროპეტროვსკი, 24 ივლისი** (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). თბილისის მ. თოიძის სახელობის მე-11 პროფტექსასწავლებლის ველოსიპედისტებმა, რომლებიც თბილისიდან ბრესტს მიემგზავრებიან, წარმატებით გაიარეს საკონტროლო პუნქტი. ლაშქრობა, რომელიც ლენინური კომკავშირის 50 და „შრომითი რეზერვების" 25 წლისთავს ეძღვნება, გრძელდება.

ქ. გირგიდოვი,
ლაშქრობის ხელმძღვანელი.

## კვლავ გამარჯვება!

**იბსი (ავსტრია), 25 ივლისი.** მსოფლიოს სტუდენტ მოჭადრაკეთა ოლიმპიადის მთავარი ფინალური ტურნირის V ტურში პირველად დამარცხდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები — მან წააგო იუგოსლაველებთან—1,5:2,5. ასეთივე ანგარიშით რუმინელებმა სძლიეს ისლანდიის წარმომადგენლებს. ბულგარელებმა დიდი ანგარიშით (3,5:0,5) მოუგეს დანიელებს.

VI ტურში საბჭოთა ნაკრებმა მორიგ გამარჯვებას მიაღწია: ამჯერად დაამარცხა რუმინეთის გუნდი — 2,5:1,5.

ახლა სსრ კავშირის მოჭადრაკეებს 17,5 ქულა აქვთ 24-დან.

## ახალი ამბები

● **გდანსკი, 25 ივლისი.** „ბალტიკის თასზე" ხელბურთელ ვაჟთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენები უხეიროდ გამოვიდნენ: მათ მხოლოდ V ადგილი დაიკავეს, თუმცა ბოლო მატჩში დაძაბული ბრძოლის შემდეგ დაამარცხეს შვეციის ნაკრები — 21:20. ტურნირში ყველას აჯობეს რუმინელებმა. საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიხვეჭა ა. კოკუხოვმა (სსრ კავშირი) — 28 ბურთი.

● **გოსტადი (შვეცია), 25 ივლისი.** ადგილობრივ 50-მეტრიან აუზში პეტერ ფეილმა 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა — 2.08,1.

● **ოდესა, 25 ივლისი.** იაპონიის ფეხბურთელთა ოლიმპიურმა ნაკრებმა აქ წააგო ადგილობრივ „ჩერნომორეცთან" — 1:2.

● **ამსტერდამი, 25 ივლისი.** აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 8 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეულში შედიან დიდოსტატები კავალეკი (ჩეხოსლოვაკია) — 6 ქულა, ივკოვი (იუგოსლავია) — 5,5 და ბრონშტეინი (სსრ კავშირი) — 5. მეორე საბჭოთა დიდოსტატი შამკოვიჩი, რომელსაც 3,5 ქულა აქვს, ბოლო ტურში დამარცხდა ჰოლანდიელ ლანგევეგთან.

● **ოხრიდი (იუგოსლავია), 25 ივლისი.** აქ გრძელდება „სოლიდარობის შეხვედრები" — საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. 11 ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდეს დიდოსტატებმა პოლუგაევსკიმ (სსრ კავშირი) და ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია) — 8-8 ქულა 11-დან. უნგრელ პორტიშს 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ხოლო საბჭოთა მოჭადრაკეებს გელერსა და სავონს — 6-6 ქულა და 2-2 გადადებული პარტია.

● **კაბანა, 25 ივლისი.** ერთი თვის შემდეგ აქ გაიხსნება მოჭადრაკეთა მორიგი საერთაშორისო ფორუმი — ხოსე-რაულ კაპაბლანკას მემორიალი. დიდოსტატთა ამ დიდ ტურნირში სსრ კავშირიდან ითამაშებენ ლ. შტეინი, რ. ხოლმოვი და ა. სუეტინი.

## სისწრაფის მეგობართა იუბილე

პრეს-კონფერენცია, რომელიც ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში ჩატარდა, საბჭოთა სამოტორო სპორტის 50 წლისთავს მიეძღვნა.

სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავად და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებთან შესახვედრად აქ შეიკრიბნენ დამსახურებული საბჭოთა მრბოლელები, მწვრთნელები, კონსტრუქტორები, ყველა ის, ვინც დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა საავტომობილო და მოტოსპორტის განვითარებაში.

როგორც დოსააფის ცენტრალური კომიტეტის ტექნიკური სახეობების ფედერაციის ბიუროს თავმჯდომარემ, გენერალ-მაიორმა ა. სკვორცოვმა შეკრებილთ უთხრა, საბჭოთა ავტომოტოსპორტი სათავეს 1918 წლიდან იღებს. მაშინ ჩატარდა საბჭოების რესპუბლიკაში პირველი მოტოშეჯიბრება. მარშრუტი ასეთი იყო: კლინი — მოსკოვი.

მოტოსპორტის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული არმიისა და სახალხო მეურნეობის კადრების მომზადებასთან, სამამულო საავტომობილო და სამოტოციკლო მრეწველობის განვითარებასთან. 1918 წელს გამართულ პირველ შეჯიბრებაში სულ 22 კაცი მონაწილეობდა, შარშან კი ჩატარდა 43 ათასზე მეტი საავტომობილო, 32 ათასზე მეტი მოტო და 4 ათასამდე ავტომოდელისტთა შეჯიბრება. ამ შეჯიბრებებში მილიონნახევრამდე სპორტსმენი გამოვიდა. 22 და მილიონნახევარი — ამ ციფრებით იზომება 50 წლის მანძილზე განვლილი გზა.

და თუ 10 წლის წინ საბჭოთა მრბოლელები პირველ გაუბედავ ნაბიჯებს დგამდნენ საერთაშორისო სარბიელზე, დღეს ბევრ მათგანს მთელი მსოფლიო იცნობს. სსრ კავშირში აშენდა 20-ზე მეტი მოტოდრომი, მოტოტრეკი, სპორტის ცენტრალურ სახეობათა სტადიონი. მაგალითად, ამ დღეებში ომსკში გაიხსნა ახალი მოტოდრომი, რომელიც 10 ათას მაყურებელს იტევს. სწორედ ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს საბჭოთა სპორტსმენებისგან კვლავაც დიდ წარმატებას ველოდეთ საერთაშორისო სარბიელზე და მსოფლიო ჩემპიონატებში.

უცხოეთის ფეხბურთი

## მორეირას აკრიტიკებენ

ბრაზილიის ნაკრების ხანგრძლივი გასტროლების შედეგები (5 მოგება, 3 წაგება) სხვადასხვანაირად შეაფასეს. ნაკრების ხელმძღვანელი ა. მორეირა ძალიან კმაყოფილია, ბრაზილიელი ჟურნალისტები — პირიქით. „პელესა და გარინჩას მემკვიდრეებისგან უკეთესი თამაში იყო მოსალოდნელი", — ერთხმად აღნიშნავს პრესა.

ბრაზილიელი მიმომხილველების აზრით, ნაკრები ვერ გათავისუფლდა მოძველებული ტაქტიკური სქემებისგან. მწვრთნელი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს თანამედროვე ტაქტიკურ ევოლუციას. ბრაზილიელი ფეხბურთელები, ჩინებული ტექნიკოსები, არ ეძებენ უმოკლეს გზებს მეტოქის კარისკენ, განუწყვეტლივ „ათრევენ" ბურთს.

„ასეთი თამაშით, — წერენ ბრაზილიელი მიმომხილველები, — ლაპარაკიც არ შეიძლება მექსიკაში მსოფლიო ჩემპიონობის დაბრუნებაზე. ჩვენი ჰიპერკომბინაციები არავისთვის არაა საშიში".

პრესის აზრით, ნაკრებთან ბევრად უფრო სერიოზული მუშაობაა საჭირო.

## სტასნი ალგეს ნაცვლად

ლენინგრადში საბჭოთა გუნდთან მარცხის შემდეგ ავსტრიის ნაკრების მწვრთნელი ე. ალგე გადადგა. იგი ადრეც აცხადებდა, რომ ვერ გამონახა საერთო ენა ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციასთან (საყურადღებოა, რომ თავისი მოღვაწეობის მანძილზე ნაკრებში ალგე არ იღებდა არავითარ გასამრჯელოს).

ამ დღეებში ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების ხელმძღვანელად დანიშნა ჩეხოსლოვაკიელი სპეციალისტი, 58 წლის ლ. სტასნი.

## გასწორება

„ლელოს" წინა ნომერში [illegible] ვეყნებულ მასალაში „განთიადი — საშიში მეტოქე" შეჯიბრების ტექნიკური შედეგების პირველი აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: **ქალები. თავისუფალი სტილი. 100 მ.** ნ. მიქაელიანი — 1.11,5, ი. ოვჩინიკოვა (ორივე — „განთიადი")—1.13,5, ი. ბახი („დინამო")—1.14.0.

რაც შეეხება ამ დისტანციაზე ი. ზოტოვას შედეგს (1.07,3), იგი ნაჩვენები იქნა სარეკორდო გაცურვაში.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

## თბილისის სპორტული [illegible]

**ფეხბურთი.** „დინამოს" სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი. I ჯგუფი. „დინამო" (თბილისი) — ასკ (როსტოვი). დ ღ ე ს: ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს. 30 წ. „ლოკომოტივის" სტადიონი. **30 ივლისი.** სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი. II ჯგუფის III ქვეჯგუფი. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „თერგი" (გროზნო). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს. 30 წ.

**რეგბი.** ასკ-ს სტადიონი. „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა. **27-28 ივლისი.** მონაწილეობენ მოსკოვის, კიევის, ერევნის, ყაზანისა და თბილისის გუნდები. დასაწყისი 10 ს და 19 ს.

**თბილისის პიონერთა ბანაკების სპარტაკიადა. 27 ივლისი-3 აგვისტო.** კალათბურთი — კიროვის პარკში; მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, შაში—სპორტკლუბ „სინათლის" ბაზებზე; ფრენბურთი — ქალაქის სპორტკავშირის ბაზებზე; მძლეოსნობა — ლენინის სტადიონზე. დასაწყისი 11 ს.

## მკითხველთა და ავტორთა საყურადღებოდ!

„ლელოს" რედაქცია გადავიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის შენობის ახალ კორპუსში (შესასვლელი ბელინსკის ქუჩიდან). ჩვენი ტელეფონებია: სამდივნოსი — 93-95-30, მასობრივი ფიზკულტურის განყოფილების, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებისა — 93-95-14, ფეხბურთის განყოფილებისა — 93-95-41, წერილების სექტორისა—93-95-40, ლიტმუშაკებისა—93-95-11, ფოტოლაბორატორიისა — 93-95-16.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04192